ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N68

2015 წლის 29 მაისი
ქ. ქობულეთი

საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მოქალაქე ამირან ემინაძეს ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №116, ბინა 3-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელი სახლის ფასადზე კარისა და კიბის მოწყობისათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე.

2. მოქალაქე ამრან ემინაძემ უზრუნველყოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადზე კარისა და კიბის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ენერგო-პროჯორიასთან და ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე